ეროვნული ბიბლიოთეკა

კანონთა და განკარგულებათა კრებული

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მთავრობისა.

1930 წლის მაისის 3.	№ 8 განყოფილება პირველი	ა/კსფსრ სახალ. კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველობის მიერ გამოცემული.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

მუხ. 98. ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან საბჭოთა მშენებლობისა და სამართლის ინსტიტუტის მოწყობის შესახებ.

„ 99. დებულება ა/კსფსრ საზომ-საწონთა პალატისა და მისი ადგილობრივი ორგანოების (შემმოწმებელი პალატების) შესახებ.

„ 100. პროფესიონალურ კავშირთა კულტურულ-განმანათლებელი და ფიზიკური კულტურიის დაწესებულებების საჭიროებისათვის სადგომებისა და სამოწაწყლო ნაკვეთების მიჩენის პირობების შესახებ.

„ 101. „ა/კსფსრ-ში კოოპერაციისათვის მისაცემი გრძელვადიანი კრედიტის ფონდების დებულების“ შეცვლის შესახებ.

„ 102. ა/კსფსრ-ში საქონლის დაუზოგველი დაკვლის წინააღმდეგ ბრძოლისა და მუშა-საქონლისა და საყოლი საქონლის დაცვის ღონისძიებათა შესახებ.

„ 103. „უმაღლესი სასწავლებლებისა და ტეხნიკუმების მოსწავლეთა კონტრაქტაციის წესის თაობაზე“ გამოცემული სსრკ-ის შრომის სახალხო კომისარიატის 1929 წ. დეკემბრის 21-ის თარიღისა და 389 №-ის დადგენილების შესრულების შესახებ.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

98. ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან საბჭოთა მშენებლობისა და სამართლის ინსტიტუტის მოწყობის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. რათა უზრუნველყოფილ იქნეს თეორეტიული შესწავლა და მეცნიერული განზოგადება ა/კსფსრ-ის პრაქტიკული გამოცდილებისა საბჭოთა მშენებლობის

და სამართლის სფეროში მარქსისტულ-ლენინური თეორიის თვალსაზრისით სახელმწიფოსა და სამართლის შესახებ, აგრეთვე რათა გაერთიანებულ და ხელძღვანებულ იქნეს ადგილობრივ სამეცნიერო დაწესებულებათა მოქმედება საბჭოთა მშენებლობისა და სამართლის დარგში, მოეწყოს ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან საბჭოთა მშენებლობისა და სამართლის ინსტიტუტი.

2. ინსტიტუტი იმყოფება სახელმწიფო ბიუჯეტზე ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საერთო ხარჯთაღრიცხვით.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1930 წ. მარტის 28.
ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 105 №-ში 1930 წ. აპრილის 22-ს.

დადგენილება № 237 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

99. ა/კსფსრ საზომ-საწონთა პალატისა და მისი ადგილობრივი ორგანოების (შემმოწმებელი პალატების) დებულების დამტკიცების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს შემდეგი დებულება „ა/კსფსრ საზომ-საწონთა პალატისა და მისი ადგილობრივი ორგანოების (შემმოწმებელი პალატების) შესახებ"-

2. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება „ამიერკავკასიის ზომა-წონის პალატის დებულების დამტკიცების შესახებ" (ა/კსფსრ კან. კრ. 1925 წ. მე 8 №-ი, მუხ. 484) და „დებულება ადგილობრივი შემმოწმებელი პალატების შესახებ (ა/კსფსრ კან. კრ. 1925 წ. მე-8 №-ი, მუხ. 487) გაუქმებულ იქნეს.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ა. ბეგზადიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის თანამდ. დროებ. აღმ. **ა. ბანოვიჩი.**

1930 წ. აპრილის 25.
ტფილისი—სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებულება ა/კსფსრ საზომ-საწონთა პალატისა და მისი ადგილობრივი ორგანოების (შემმოწმებელი პალატების) შესახებ.

ჯარი I.

ზოგადი დებულებანი.

1. სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1924 წ. ივნისის 6-ს დამტკიცებული საზომ-საწონთა დებულების თანახმად („სსრკ ცენ. აღმ. კ-ტისა, სახ. კ-თა საბჭოს და შრ. და თავდაცვის საბჭოს ვესტნიკ"-ის 1924 წ. მე-6 №-ი, მუხ. 202) არსდება ა/კსფსრ საზომ-საწონთა პალატა, რომელიც არის ცენტრალური სამეცნიერო-სატეხნიკო და გამოყენებითი მეტროლოგიური დაწესებულება ა/კსფსრ-ში; პალატას ეკუთვნის გამონაკლისი უფლება ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებული სასტანდარტებაციო კომიტეტის მიერ დაწესებული ა/კსფსრ მრეწველობის სტანდარტების შენახვისა.

ა/კსფსრ საზომ-საწონთა პალატა იმყოფება ქალაქ ტფილისში.

2. ა/კსფსრ საზომ-საწონთა პალატა იმყოფება ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს გამგებლობაში და თავისი მოქმედებისათვის იგი იხელმძღვანელებს: საორგანიზაციო და საადმინისტრაციო სამეურნეო სფეროში— ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდუმის განკარგულებებს, ხოლო სამეცნიერო-სატეხნიკო და მეტროლოგიურ სფეროში—სსრკ-ის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან არსებული საზომ საწონთა მთავარი პალატის საერთო დირექტივებს.

3. თავისი მოქმედების ანგარიშებს ა/კსფსრ საზომ-საზონთა პალატა წარუდგენს ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს და სსრკ-ის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან არსებულ საზომ-საწონთა მთავარ პალატას.

4. ა/კსფსრ საზომ-საწონთა პალატას აქვს ბეჭედი ა/კსფსრ სახელმწიფო ღერბისა და თავისი სახელწოდების გამოსახულებით და საზომ-საწონთა მთავარი პალატისაგან მიღებული განსაკუთრებული დაღები ნიშნების დასასმელად სამზომო და საკონტროლო ხელსაწყოებზე, რასაც იგი ან მისი ადგილობრივი ორგანოები შეამოწმებენ.

ჯარი II.

ა/კსფსრ საზომ-საწონთა პალატის ამოცანები.

5. ა/კსფსრ საზომ-საწონთა პალატის ამოცანებს საზომ-საწონთა შემოწმებისა და მათი ხმარებისათვის მეთვალყურეობის გაწევის სფეროში შეადგენს:

ა) უზრუნველჰყოს ა/კსფსრ ფარგლებში ერთნაირობა, სისწორე და ურთიერთი შესაბამისობა ყოველგვარი საზომისა, საწონისა, ზომისა და სამზომო და საკონტროლო ხელსაწყოებისა, რაც გამოიყენება მეცნიერებაში, ტეხნიკაში და სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, და რის შემოწმება და დადაღვა სავალდებულოა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) მოაწყოს, ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული გეგმების მიხედვით, ა/კსფსრ ტერიტორიაზე შემოწმების საქმე შემმოწმებელ დაწესებულებათა დაარსებით ადგილებზე და მათი მოქმედების რაიონების განსაზღვრით;

გ) გაუწიოს საერთო მართვა-გამგებლობა ყველა ადგილობრივ ორგანოს (საზომ-საწონთა პალატებს) და ხელმძღვანელობა—მთლად შემოწმების საქმეს ა/კსფსრ ტერიტორიაზე;

დ) შეიმუშაოს და წარუდგინოს დასამტკიცებლად ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პროექტები დადგენილებებისა იმ სამზომო ხელსაწყოთა სავალდებულო შემოწმების შესახებ, რომელთა შემოწმება და დადაღვა, არსებულ კანონდებულებათა თანახმად, წინად სავალდებულო არ იყო ა/კსფსრ ტერიტორიაზე;

ე) შეიმუშაოს და გამოსცეს, ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს დამტკიცებით, საზომ-საწონთა დებულების ფარგლებში, ადგილობრივი პირობებით გამოწვეული ინსტრუქციები და წესები, აგრეთვე შემოწმებისა და დადაღვის ნიხრები იმ მზომებისათვის, რომელთა სავალდებულო შემოწმება და დადაღვა დაწესებულია ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს მიერ;

ვ) აღნუსხოს საზომ-საწონთა შემოწმებისა და დადაღვის გამოსაღები და აგრეთვე ა/კსფსრ შემმოწმებელი დაწესებულებების მიერ მიღებული შემოსავალი სპეციალურ სახსართა შესაქმნელად;

ზ) მოახდინოს საზომ-საწონთა რევიზია ყველა სახელმწიფო, კოოპერატიულ და კერძო დაწესებულებასა, საწარმოსა და ორგანიზაციაში ა/კსფსრ ფარგლებში;

თ) შეჰკრიფოს და შეიმუშაოს, ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან შეთანხმებით, სტატისტიკური ცნობები იმ სამზომო და საკონტროლო ხელსაწყოთა რაოდენობისა და სახის შესახებ, რაც ა/კსფსრ-ში ტრიალებს;

ი) მოაწყოს სამზომო ხელსაწყოთა წარმოება და რემონტი და თვალყური ადევნოს სამზომო ხელსაწყოთა წარმოებას, რემონტს და სტანდარტიზაციას ქარხნებში, ფაბრიკებში და სახელოსნოებში ა/კსფსრ ტერიტორიაზე;

კ) მოამარაგოს საზომ- საწონთა პალატები საშემმოწმებლო დაღებით და მათი საშემმოწმებლო მუშაობისათვის საჭირო ყველა სანიმუშო სამზომო ხელსაწყოთი და სათანადო რესპუბლიკის საღერბო ბეჭდებით;

ლ) გაუწიოს პერიოდული კონტროლი ა/კსფსრ ტერიტორიაზე სსრკ-ის შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებული სასტანდარტიზაციო კომიტეტის მიერ დადგენილ სტანდარტებს.

ჯ ა რ ი III.

ა/კსფსრ საზომ-საწონთა პალატის უფლებანი.

6. ა/კსფსრ საზომ-საწონთა პალატას უფლება აქვს:

ა) საერთო ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობა გაუწიოს თავისი ადგილობრივი ორგანოების (შემმოწმებელი პალატების) მოქმედებას ა/კსფსრ ტერიტორიაზე და რევიზია გაუკეთოს მათ;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) ურთიერთი მიმართვა იქონიოს სათანადო დაწესებულებებთან და პირებთან იმ საკითხების გამო, რაც მის გამგებლობაში შედის;

გ) აწარმოოს ყოველგვარი სამეცნიერო და სამეცნიერო-სატეხნიკო გამოკვლევა მეტროლოგიური საკითხების შემოწმების სფეროში;

დ) შეიმუშაოს მეცნიერულად სამზომო ხელსაწყოთა ტეხნოლოგიისა და კონსტრუქციის საკითხები;

ე) გამოსცეს თავისი სამეცნიერო ნაშრომები და ანგარიშები;

ვ) მოაწყოს ხოლმე სამეცნიერო-მეტროლოგიური საშუალოები ა/კსფარ ტერიტორიაზე, რისთვისაც, სამისოდ განსაკუთრებულად გადადებული სახსარით ან სპეციალურ სახსართა შემოსავლის ხარჯზე, გამართოს დამხმარე საწარმონი საცდელ-საწარმოო ხასიათისა (ლაბორატორიები, კაბინეთები, სახელოსნოები, ბიბლიოთეკები და სხვ.).

შენიშვნა. ლაბორატორიებში და კაბინეთებში სპეციალური სამეცნიერო-მეტროლოგიური მუშაობისათვის მიიშვებიან მეცნიერნი.

ზ) მოაწყოს სხვა დაწესებულებებთან ერთად ან დამოუკიდებლად დროებითი კომისიები მცოდნე პირთა მონაწილეობით;

თ) მოიწვიოს ხოლმე, კანონით დადგენილი წესისამებრ, ა/კსფარ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სანქციით, პერიოდული ყრილობები თეორეტიული და გამოყენებითი მეტროლოგიის საკითხების განსახილველად და შესამუშავებლად და საშემოწმებლო საქმის მოსაწყობად, აგრეთვე მრეწველობისა და ტეხნიკის სფეროში ნორმალიზაციასა და სტანდარტიზაციასთან დაკავშირებული საკითხების შესამუშავებლად;

ი) შეიმუშაოს წინასწარი პროექტები ხელისუფლების სათანადო ორგანოების დადგენილებებისა ა/კსფარ საზომ-საწონთა პალატის შესახები საკითხების თაობაზე;

კ) მოაწყოს მუზეუმები, ბიბლიოთეკები, გამოფენები, ლექციები და სამეცნიერო დემონსტრაციები პალატის შესახები საკითხების სფეროში.

7. ა/კსფარ საზომ-საწონთა პალატას უფლება აქვს შეიძინოს საზღვარგარეულ, საგარეო ვაჭრობის თაობაზე არსებული წესების დაცვით, წიგნები, ჟურნალები, სამეცნიერო ხელსაწყოები და მასალები; ამასთანავე, მას აქვს როგორც უცხოეთიდან უბაჟოდ შემოტანის უფლება, ისე ყველა სხვა უფლება, რაც საამისოდ მინიჭებული აქვთ სამეცნიერო ორგანიზაციებს საბჭო კოდექსის 152 მუხ. გათვალისწინებული წესისამებრ (სსრკ კან. კრ. 1929 წ 25 №-ი, მუხ. 2).

8. ა/კსფარ საზომ-საწონთა პალატას უფლება ეძლევა იქონიოს, არსებული კანონების მიხედვით, სპეციალური სახსარი.

9. ა/კსფარ საზომ-საწონთა პალატის სპეციალური სახსარი იხარჯება:

90%-ი ამა თუ იმ შემმოწმებელ პალატაზე დამტკიცებული ხარჯთაღრიცვის მიხედვით, ხოლო 10%-ი შევა ა/კსფარ საზომ-საწონთა პალატაში და მიიქცევა მისი მეტროლოგიური მოქმედების გაფართოებისათვის.

10. ა/კსფარ საზომ-საწონთა პალატას უფლება აქვს—საცდელ-საწარმოო ხასიათის დამხმარე ორგანიზაციების საჭიროებათათვის (მე-6 მუხ. „ე“ პუნ.) თავისი სახელით:

ა) მიიღოს შეკვეთები და დასდოს ყველა გარიგება, რაც საზომ-საწონთა პალატის ამოცანებს ეხება;

ა) დაკრედიტდეს საკრედიტო დაწესებულებებში.

შენიშვნა. ა/კსფსრ საზომ-საწონთა პალატის ვალდებულებებით, რაც ამა მუხლის თანახმად წარმოიშვება, გადასახდელი შეიძლება მიიქცეს მხოლოდ საცდელ-საწარმოო დაწესებულებათა შემოსავალზე და აგრეთვე ამ დაწესებულებათა ქონებაზე, უკეთუ ეს ქონება, მომქმედი კანონმდებლობის თანახმად, გამორიცხული არ არის ბრუნვიდან და ა/კსფსრ საზომ-საწონთა პალატის თავისუფალ განკარგულებაშია. სახელმწიფო ხაზინა ამ ვალდებულებებისათვის პასუხს არ აგებს.

ᲙᲐᲠᲘ IV.

Ა/ᲙᲡᲤᲡᲠ ᲡᲐᲖᲝᲛ-ᲡᲐᲬᲝᲜᲗᲐ ᲞᲐᲚᲐᲢᲘᲡ ᲨᲔᲓᲒᲔᲜᲘᲚᲝᲑᲐ.

11. ა/კსფსრ საზომ-საწონთა პალატის სათავეში სდგას დირექტორი, რომელსაც დანიშნავს ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

12. ა/კსფსრ საზომ-საწონთა პალატისა და მის ადგილობრივი ორგანოების (შემმოწმებელი პალატების) სტრუქტურას და მოქმედების წესს განსაზღვრავს ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

ᲙᲐᲠᲘ V.

ᲒᲐᲛᲝᲬᲘᲚᲔᲑᲘ, ᲨᲔᲜᲐᲮᲕᲐ ᲓᲐ ᲨᲢᲐᲢᲘ.

13. ა/კსფსრ საზომ-საწონთა პალატა და მისი ადგილობრივი ორგანოები (შემმოწმებელი პალატები) იმყოფებიან სახელმწიფო ბიუჯეტზე ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ხარჯთაღრიცხვით.

14. ის გამოსაღები, რასაც ახდევინებენ ა/კსფსრ საზომ-საწონთა პალატა და მისი ადგილობრივი ორგანოები (შემმოწმებელი პალატები) აუცილებლად შეამოწმებელ საზომ-საწონთა და სხვა სამზომო და საკონტროლო ხელსაწყოთა დადაღვისა და შემოწმებისათვის, შედის სახელმწიფო შემოსავლად სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. ოქტომბრის 29-ის დადგენილებით განსაზღვრული წესისამებრ (სსრკ კან. კრ. 1927 წ. 62 №-ი, მუხ. 626).

ᲙᲐᲠᲘ VI.

Ა/ᲙᲡᲤᲡᲠ ᲡᲐᲖᲝᲛ-ᲡᲐᲬᲝᲜᲗᲐ ᲞᲐᲚᲐᲢᲘᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲝᲠ�გᲐᲜᲝᲔᲑᲘ.

(შემმოწმებელი პალატები)

15. ყველა იმ საზომ-საწონთა და საზომი და საკონტროლო ხელსაწყოთა თანაბრობისა, სისწორისა და სათანადო ხმარებისათვის, რომელთა დადაღვა და შემოწმება სავალდებულოა, ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს განკარგულებით, ა/კსფსრ საზომ-საწონთა პალატა დააარსებს ა/კსფსრ შედგენი-

ლობაში შემავალ რესპუბლიკებში ადგილობრივ ორგანოებს (შემმოწმებელ პალატებს), რომლებიც სამეცნიერო-სატეხნიკო დაწესებულებებია და იმყოფებიან ა/კსფსრ საზომ-საწონთა პალატის უშუალო გამგებლობაში.

16. ამა დებულების მე-15 მუხლში აღნიშნული ამოცანების განსახორციელებლად შემმოწმებელი პალატები:

ა) აწარმოებენ საზომ-საწონთა და ყოველგვარ სამზომო და საკონტროლო ხელსაწყოთა პირვანდელ და განმეორებითს შემოწმებას;

ბ) აწარმოებენ საზომ-საწონთა და სხვა სამზომო და საკონტროლო ხელსაწყოთა უეცარ რევიზიას უწყებული რესპუბლიკის ტერიტორიაზე მყოფ ყველა, გამოუკლებლივ, სახელმწიფო, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ დაწესებულებასა და საწარმოში, აგრეთვე კერძო პირებთან;

გ) ნებასა რთავენ საზომ-საწონთა რემონტის საწარმოებლად;

დ) ავრცელებენ მოსახლეობაში საჭირო ცნობებს საზომ-საწონთა და მათი გამოყენების შესახებ.

17. შემმოწმებელ პალატებს შეუძლიანთ, საჭიროებისადამიხედვით, ა/კსფსრ საზომ-საწონთა პალატის ნებართვით, მათი მოქმედების გეგმისა და მათთვის გადადებული ასსიგნების ფარგლებში, გახსნან თავიანთი მოქმედების რაიონებში დროებითი განყოფილებანი.

18. შემმოწმებელ პალატებს აქვთ ბეჭდები სათანადო რესპუბლიკის ღერბისა და თავიანთი სახელწოდების გამოსახულებით და სსრკ-ის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან არსებული საზომ-საწონთა მთავარი პალატის მიერ დამზადებული განსაკუთრებული დაღები შესამოწმებელ სამზომო ხელსაწყობებზე ნიშნის დასასმელად.

19. შემმოწმებელი პალატის სათავეში სდგას მმართველი, რომელსაც დანიშნავს ა/კსფრს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო—ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის ეკონომიურ თათბირთან შეთანხმებით.

20. საზომ-საწონთა შემმოწმებელ პალატებთან, საჭიროებისადამიხედვით და ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ნებართვით, გაიხსნება სახელოსნოები საზომ-საწონთა და სხვა სამზომო და საკონტროლო ხელსაწყოთა რემონტისათვის.

21. სასამართლო, საადმინისტრაციო და სამხედრო ხელისუფლებისა და სხვა ორგანიზაციებისა და პირების მიწვევით შემმოწმებელი პალატები აწარმოებენ (დადგენილი ნიხრის მიხედვით) სამზომო ხელსაწყოთა ექსპერტიზას.

დადგენილება № 238 ა/კსუსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

100. პროფესიონალურ კავშირთა კულტურულ-განმანათლებელი და ფიზიკური კულტურის დაწესებულებების საჭიროებათათვის სადგომებისა და სამიწაწყლო ნაკვეთების მიჩენის პირობების შესახებ.

პროფესიონალურ კავშირთა მასსიური კულტურულ-განმანათლებელი მუშაობის განვითარებისათვის საჭირო პირობების შესაქმნელად—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. პროფესიონალურ კავშირთა კულტურულ-განმანათლებელი მუშაობისათვის საჭირო სადგომებსა და სამიწაწყლო ნაკვეთებს მიუჩენენ მათ ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტები, რომლებმაც მხედველობაში უნდა მიიღონ სათანადო განცხადებანი, რაც პროფესიონალურ კავშირთა დაინტერესებული ორგანიზაციებისაგან მიუვათ. სადგომებისა და ნაკვეთების მიჩენის პირობები განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით სათანადო ხელშეკრულებებში ამა დადგენილებით გათვალისწინებულ საფუძვლებზე.

2. სადგომები და სამიწაწყლო ნაკვეთები გადაიცემა პროფესიონალურ კავშირთა სარგებლობაში უსასყიდლოდ ქონების დაქირავების ხელშეკრულებით ან აღნაგობის უფლების ხელშეკრულებით. ყოველწლიური საამორტიზაციო ანარიცხის რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ერთ პროცენტს ქვის შენობათა საალმდგენო ღირებულებისას და ორ პროცენტს ხის შენობათა იმავე ღირებულებისას. საამორტიზაციო ანარიცხის ანგარიშში გაიბრება ის ხარჯი, რასაც პროფესიონალური კავშირები გასწევენ სადგომების კაპიტალურ გადაკეთებაზე და ახალ შენობათა და ნაგებობათა დადგმაზე. შენობათა, სადგომთა და ნაგებობათა რემონტის წარმოება და წესიერად შენახვა დაეკისრება იმ ორგანიზაციებს, ვის სარგებლობაშიაც შენობაა, სადგომთა და ნაგებობა.

3. კულტურულ-გამანათლებელი დაწესებულებების (მუშათა კლუბი, კულტურის სასახლე და სხვ.) შენობათა და საფიზკულტურო ნაგებობათა (სასპორტო სტადიონები, წყალ-სადგურები და სხვ. ასაგებად საჭირო ნაკვეთები პროფესიონალურ კავშირებს მიეჩინებათ უვადო სარგებლობაში. ახლად აგებული შენობები შეადგენს იმ ორგანიზაციების საკუთრებას, ვისთვისაც მიკუთვნებულია ის ნაკვეთები, რომლებზედაც აგებულია ეს შენობები და ნაგებობები.

4. უკეთუ პროფესიონალურ კავშირთა სარგებლობისათვის მიჩენილ ცალკეულ სადგომთა და მთელ შენობათა საალმდგენო რემონტზე ან კაპიტალურ გადაკეთებაზე გასაწევი ხარჯი აღემატება ოცდახუთ პროცენტს ამ შენობათა და ნაგებობათა საალმდგენო რირებულებისას გადაცემის პერიოდში, აღნიშნული შენობები და ნაგებობები გადაეცემა პროფესიონალურ კავშირებს საალნაგო უფლების ხელშეკრულებით.

5. პროფესიონალურ კავშირებს აქვთ უპირატესი უფლება დაეტოვოთ სარგებლობაში სადგომები და სამიწაწყლო ნაკვეთები ხელშეკრულების ვადის გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სელის შემდეგაც. ახალი შეთანხმების პირობებზე ვრცელდება ამა დადგენილებაში გათვალისწინებული წესები. ისეთ შემთხვევაში, როდესაც სადგომებისა და სამიწაწყლო ნაკვეთების სარგებლობა განახლებულ არ იქნება ახალი ვადით ან, მხარეთა შეთანხმებით, ეს სარგებლობა მოისპობა ხელშეკრულების ვადის გასვლამდე, პროფესიონალურ კავშირებს აიანაზღაურებათ მათ მიერ სადგომების კაპიტალურ გადაკეთებაზე და ახალ შენობათა და ნაგებობათა აგებაზე გაწეული ხარჯები. საზღაურის რაოდენობა განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით, ხოლო, უკეთუ შეთანხმება არ მოხდა, — სასამართლო წესით.

6. იმ საერთო სარგებლობის ადგილთა კეთილმოწყობა, რომელნიც სადგომებისა და სამიწაწყლო ნაკვეთების გვერდით მდებარეობენ (ქვაფენილებისა და ტროტუარების დაგება და რემონტი, მწვანე ნარგავთა ჩაყრა და სხვ.), განხორციელდება ადგილობრივი კომიტეტების ხარჯზე და სახსარით. პროფესიონალური კავშირები განთავისუფლდებიან აღნიშნულ კეთილმოწყობასთან დაკავშირებული ხარჯებისაგან.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ა. ბეგზადიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველის თან. დრ. აღმ. **ა. ბანოვიჩი.**

1930 წ. აპრილის 25.
ტფილისი-სასახლე.

დადგენილება № 239. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

101. „ა/კსფსრ-ში კოოპერაციისათვის მისაცემი გრძელვადიანი კრედიტის ფონდების დებულების“ შეცვლის შესახებ.

სრულიად საკავშირო კოოპერატიული ბანკის განყოფილებების გაუქმებასთან დაკავშირებით (სსრკ კან. კრ. 1930 წ. მე-8 №-ი, მუხ. 98) და სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „სამომხმარებლო კოოპერაციის გრძელვადიანი დაკრედიტების შესახებ“ 1930 წ. თებერვლის 6-ის თარიღით გამოცემული დადგენილების მე-8 მუხლის შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1930 წ. მე-10 №-ი, მუხ. 121)—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. აპრილის 3-ის დადგენილებაში „ა/კსფსრ-ში კოოპერაციისათვის მისაცემი გრძელვადიანი კრედიტის ფონდების დებულების დამტკიცების შესახებ“ (ა/კსფსრ კან. კრ. 1928 წ. მე-10 №-ი, მუხ. 113) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებანი:

1. მუხლი 1-ლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„მუხ. 1. რათა ა/კსფსრ-ში კოოპერაციის საჭიროება დაკმაყოფილებულ იქნეს გრძელვადიანი კრედიტით, სრულიად რუსეთის კოოპერატიულ ბანკთან არსდება კოოპერაციის გრძელვადიანი დაკრედიტების ფონდები.

ამ ფონდებიდან კოოპერტიულ ორგანიზაციებს მიეცემათ გრძელვადიანი სესხი კაპიტალური ხარჯებისათვის, საბრუნავ სახსართა გასადიდებლად და ძირითადი და სპეციალური კაპიტალების შესაქმნელად თუ გასაადიდებლად".

2. მე-3 მუხ. „გ" და „დ" პუნქტები მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„პუნ. „გ") სრულიად რუსეთის კოოპერატიულ ბანკში 1926 წ. ოქტომბრის 1-დან შესული გადასახადები „ბ" პუნქტში აღნიშნული საბიუჯეტო ასიგნებიდან გაცემული სესხის დასაფარავად";

„პუნ. „დ") ყოველწლიური პროცენტები, რაც ხაზინას ერგება სრულიად რუსეთის კოოპერატიული ბანკისაგან იმ საბიუჯეტო სახსართა სარგებლობისათვის, რაც, ამა მუხლის „ა" და „ბ" პუნქტების თანახმად, მიქცეულია საერთო ფონდში, და აგრეთვე იმ სახსართა სარგებლობისათვის, რაც ამა პუნქტის თანახმად გადაიცემა იმავე ფონდში".

3. მე-3 მუხლის 1-ლი, მე-2 და მე-3 შენიშვნები მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„**შენიშვნა 1.** ამა მუხლში აღნიშნული თანხები ჩაირიცხება სრულიად რუსეთის კოოპერატიულ ბანკის ხაზინისადმი დავალიანების სახით, აგრეთვე იმ სესხთა ჩათვლით, რაც „ბ" პუნ. აღნიშნულ ასიგნებიდან გაიცა და რასაც სრულიად რუსეთის კოოპერატიული ბანკი გააფორმებს ამა დებულების გამოცემის შემდეგ".

„**შენიშვნა 2.** ამა მუხლის „დ" პუნ. აღნიშნული თანხები ყოველ წელს გატარებულ იქნება აზერბაიჯანისა, სომხეთისა და საქართველოს რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო და საგასავლო ნაწილში, ხოლო ფონდიდან ამოიტომვლად, ვიდრე ხაზინას არ დაებრუნება ფონდისათვის გადაცემული სათანადო საბიუჯეტო სახსარი (მუხ. 5)".

„**შენიშვნა 3.** ამიერკავკასიის კოოპერატიული ორგანიზაციების მიერ ამა მუხლში გათვალისწინებული ყველა წყაროსაგან შემქმნელი თანხები საერთო ფონდისა შეეა სრულიად რუსეთის კოოპერატიულ ბანკში და განაწილდება აკ/ცსფარ უმაღლესი ეკონომიური საბჭოს დადგენილების თანახმად—ა/კსფარ ფინანსთა სახალხო კომისარიატის წარდგენით."

4. მე-4 მუხლის 1-ლი შენიშვნა მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„**შენიშვნა 1.** ცალკეულ შემთხვევაში კოოპერაციის გრძელვადიანი დაკრედიტების კომიტეტს შეუძლიან, კოოპერატიული სისტემის ცენტრის წარდგენით, გადასინჯოს ამა დებულების გამოცემამდე სახელმწიფო საბიუჯეტო სახსარიდან გაცემულ სესხთა საპროცენტო განაკვეთები".

5. მე-5 მუხლის შენიშვნა მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„**შენიშვნა.** რესპუბლიკანურ ფინანსთა სახალხო კომისარიატსა და სრულიად რუსეთის კოოპერატიულ ბანკს შორის კოოპერაციის თვითეული სახის ცალკეული ორგანიზაციის დაკრედიტების თაობაზე დადებული ხელშეკრულებით დაწესებული ვადების ფარგლებში—სრულიად რუსეთის კოოპერატიულ ბანკს უფლება აქვს, სათანადო კოოპერატიული სისტემის ცენტრთან შეთანხმებით, დააწესოს, გააგრძელოს და შეამოკლოს ცალკეული კოოპერატიული ორგანიზაციისათვის დაკრედიტების პირვანდელი ვადები, სესხის მიზნობრივი დანიშნულებისა და სესხის ამღების ფინანსიური და ეკონომიური მდგომარეობის მიხედვით".

6. მე-6 მუხლის მესამე აბზაცი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„თვითეული რესპუბლიკის ეკონომიური თათბირის მიერ განსაზღვრული კოოპერატიული სისტემისათვის დანიშნული გრძელვადიანი დაკრედიტების თან-

ხების ფარგლებში კოოპერაციის რესპუბლიკანური ცენტრები წარადგენენ განსახილველად კოოპერაციის გრძელვადიანი დაკრედიტების საქმეთა კომიტეტში იმ კოოპერატიული ორგანიზაციების სიას, რომელთაც უნდა მიეცეს კრედიტი.“

7. მე-7 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„მუხ. 7. ა/კსფსრ უმაღლესი ეკონომიური საბჭოს დადგენილებებით საერთო რესპუბლიკანური ფონდებიდან ამიერკავკასიის კოოპერატიული ორგანიზაციების დაფინანსებისათვის გამოყოფილი სახსარი მიიქცევა სრულიად რუსეთის კოოპერატიულ ბანკში და ამ სახსარს გაანაწილებს სახელმწიფო ბანკის სამხარეო კონტორასთან არსებული კოოპერაციის გრძელვადიანი დაკრედიტების საქმეთა კომიტეტი“.

8. მე-8 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„მუხ. 8. მე-3 მუხლით გათვალისწინებული სახელმწიფო სახსარის ფონდში გადაცემისა და დატოვების დაწვრილებითი პირობები და ამ სახსარის გამოყენების წესი განისაზღვრება განსაკუთრებული ხელშეკრულებით, რაც უნდა დაიდვას ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატებსა და სრულიად რუსეთის კოოპერატიულ ბანკს შორის“.

9. მე-10 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„მუხ. 10. კოოპერაციის ყველა სისტემის გრძელვადიანი დაკრედიტების სპეციალური ფონდები, სამომხმარებლო კოოპერაციის გარდა, შესდგება ამ სისტემის ორგანიზაციების სახსარისაგან და ამ ფონდებში მიიქცევა:

ა) კოოპერატიული ცენტრებისა და კოოპერატივების კავშირების წმინდა მოგების ყოველწლიური საველდებულო ანარიცხები არა ნაკლებ, ვიდრე ხუთი პროცენტის რაოდენობით;

ბ) პირველადი კოოპერატიული ორგანიზაციების,—სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობათა გარდა,—წმინდა მოგების ანარიცხები, უკეთუ ეს მოვალეობა დაეკისრებათ მათ სათანადო კოოპერატიული ცენტრების დადგენილებებით“.

10. აღნიშნულ დებულებას „ა/კსფსრ-ში კოოპერაციისათვის მისაცემი გრძელვადიანი კრედიტის ფონდების შესახებ“ დაემატოს მე-10[1] მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„მუხ. 10[1]. სამომხმარებლო კოოპერაციის გრძელვადიანი დაკრედიტების სპეციალური ფონდები შესდგება ისე, რომ მათში მიიქცევა:

ა) სამომხმარებლო კოოპერატიული ორგანიზაციების წმინდა მოგების ყოველწლიური სავალდებულო ანარიცხები ოცდახუთმეტი პროცენტის რაოდენობით.

შენიშვნა 1. გრძელვადიანი დაკრედიტების ფონდში გადასაცემი ანარიცხების პროცენტი გადიდებულ იქნეს მით, რომ შემცირდეს სამომხმარებლო კოოპერატიული ორგანიზაციების ძირითად კაპიტალებში გადასაცემი ანარიცხების პროცენტის რიცხვი ოცით.

ბ) იმ საამორტიზაციო ანარიცხების ორმოცდაათი პროცენტი, რასაც აწარმოებენ სამომხმარებლო კოოპერატიული ორგანიზაციები;

გ) ის კაპიტალები, რასაც სრულიად რუსეთის კოოპერატიულ ბანკს გადასცემენ სამომხმარებლო კოოპერატიული ორგანიზაციები მიზნობრივი დანიშნულებით გრძელვადიანი დაკრედიტებისათვის;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) სრულიად რუსეთის კოოპერატიული ბანკის წმინდა მოგების ანარიცხები მეპაიეთა საერთო კრებების საამისო დადგენილების მიხედვით;

ე) ყოველწლიური პროცენტები, რასაც სრულიად რუსეთის კოოპერატიული ბანკი დაარიცხებს ფონდების სახსარს—სამომხმარებლო კოოპერაციის სათანადო ცენტრებსა და სრულიად რუსეთის კოოპერატიულ ბანკს შორის დადებულ ხელშეკრულებაში განსაზღვრული რაოდენობით;

ვ) სხვა შემოსავალი.

შენიშვნა 2. ანარიცხი ამა მუხლის „ა“ პუნქტით გათვალისწინებული რაოდენობით გადაიდება წმინდა მოგებიდან-სამომხმარებლო კოოპერატიული ორგანიზაციების ბალანსებით, დაწყებული ბალანსით 1929 წ. ოქტომბრის 1-თვის. ამა მუხლის „ბ“ პუნქტით გათვალისწინებული საამორტიზაციო ანარიცხები გადაიდება მხოლოდ 1928-29 წ. საამორტიზაციო კაპიტალებში მიქცეული თანხებიდან. შემდგომ წლებში საამორტიზაციო ანარიცხების გადადება შეიძლება დაეკისროს სამომხმარებლო კოოპერატიულ ორგანიზაციებს სსრკ-ის კოოპერატიულ ამხანაგობათა კავშირის დადგენილებით“.

11. მე-12 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„12. მე-10 მუხ. „ა“ და „ბ“ პუნქტებისა და მე-10[1] მუხლის თანახმად გადადებული ანარიცხები, აგრეთვე ამ ანარიცხების პროცენტები (მე-10[1] მუხ. „ე“ პუნ.) დარჩება სათანადო ფონდებში მთლად იმ ხნის განმავლობაში, რაც ეს ფონდები იარსებებს, და დაბრუნებულ იქნება მხოლოდ ამა თუ იმ ფონდის ლიკვიდაციის შემდეგ“.

12. მე-13 მუხლის შენიშვნა მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„**შენიშვნა.** ამიერკავკასიის კოოპერატიული ორგანიზაციებისაგან სპეციალურ ფონდებში შემოსასვლელი თანხების საკონტროლო ციფრებსა და სპეციალური ფონდების სახსართა განაწილებას შეადგენენ ამიერკავკასიის კოოპერატიული ცენტრები“.

13. მე-14 მუხლი ამოშლილ იქნეს.

14. მე-15 მუხლის მეორე აბზაცი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„აღნიშნული პასუხისმგებლობისაგან ბანკის განთავისუფლება შეიძლება მხოლოდ სპეციალური ფონდიდან გაცემული ისეთი სესხისათვის, რომელიც გაცემულია ბანკის მიერ,—მიუხედავად ამაზე ბანკის მხრით უარისთქმისა,—სათანადო კოოპერატიული ცენტრის გამგეობის დადგენილებით“.

15. მე-17 მუხლი ამომშლილ იქნეს.

16. მე-18 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„მუხ. 18. სახელმწიფო ბანკის სამხარეო კონტორასთან და მისეე ფილიალებთან აზერბაიჯანის სსრ-ში და სომხეთის სსრ-ში დაარსდებიან კოოპერაციის გრძელვადიანი დაკრედიტების საქმის კომიტეტები“.

17. მე-19 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„მუხ. 19. აღნიშნული კომიტეტების შედგენელობაში შედიან წარმომადგენელნი ფინანსთა სახალხო კომისარიატისა, ეკონომიკის სახალხო კომისარიატისა, სახელმწიფო ბანკის ფილიალებისა და თითო წარმომადგენელი უწყებული რეს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პუბლიკის თვითეული კოოპერატიული სისტემისა. კომიტეტის თავმჯდომარედ არის სახელმწიფო ბანკის ფილიალის მმართველი ან მისი მოადგილე.

შენიშვნა. იმ საკითხების განხილვის დროს, რაც ამიერკავკასიის კოოპერატიულ ორგანიზაციებს შეეხება, ეს ორგანიზაციები მიიწვევიან კოოპერაციის გრძელვადიანი დაკრედიტების საქმის კომიტეტის სხდომაზე".

18. მე-20 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„მუხ. 20. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატს უფლება აქვს, განაცხადებს-რა კომიტეტის სხდომაზე თავის განსაკუთრებულ აზრის საერთო ფონდის სახსარიდან ამა თუ იმ სესხის გაცემის შესახებ, განაპროტესტოს სამი დღის განმავლობაში მიღებული გადაწყვეტილება რესპუბლიკანურ ეკონომიურ თათბირში, გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერებით, ვიდრე საკითხს ეკონომიური თათბირი გადასწყვეტდეს".

19. 22 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„22. საერთო ფონდის სახსარიდან გაცემულ სესხთა გადახდევინებას აწარმოებენ რესპუბლიკანური ფინანსთა სახალხო კომისარიატის ადგილობრივი ორგანოები უდავო წესით სრულიად რუსეთის კოოპერატიული ბანკის სათანადო წარდგენის თანახმად.

სრულიად რუსეთის კოოპერატიული ბანკის მიერ დადებული ხელშეკრულების მიხედვით—სპეციალური ფონდის სახსარიდან გაცემული სესხის გადახდევინება მოხდება სასამართლოს ბრძანების გაცემის წესით".

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ა. ბეგზადიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველის თან. დრ. აღმ **ა. ბანოვიჩი.**

1930 წ. აპრილის 25.
ტფილისი-სასახლე.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

102. ა/კსფსრ-ში საქონლის დაუზოგველი დაკვლის წინააღმდეგ ბრძოლისა და მუშა-საქონლისა და საყოლი საქონლის დაცვის ღონისძიებათა შესახებ.

კულაკების მაენებელი მოქმედებისა და წაქეზების გავლენით ცალკეულმა ლარიბ და საშუალო მეურნეობებმა, მათ შორის იმათაც, ვინც კოლექტიურ მეურნეობებში შედის, აგრეთვე სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოო შენაერთებმა შესამჩნევად გაადვილეს ისეთი მუშა-საქონლისა და საყოლი საქონლის ხოცვა, რაც, თავისი დანიშნულების მიხედვით, არ იკვლის; სამაგიეროდ, ეს საქონელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ დატოვებულ იქნეს ინდივიდუალურ მეურნეობაში ან, კოლექტიურ მეურნეობაში შესვლისას, მოქცეულ იქნეს ამ უკანასკნელის ინვენტარში, ხელს შეუწყობდა მეურნეობის ძალოვნების ზრდას.

მუშა-საქონლისა და საყოლი საქონლის დაკვლა, რაც გამოწვეული არ არის სამეურნეო აუცილებლობით და მიზანშეწონილობით, ვნებს არა მარტო ცალკეულ ინდივიდუალურ და კოლექტიურ მეურნეობათა ინტერესებს, არამედ—აგრეთვე მთლად ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის ინტერესებს, იმიერად-რა მისი წარმოების ერთ-ერთ ძირითად საშუალებას.

კულაკების მავნებელი მოქმედების აღკვეთისათვის და აგრეთვე მუშა-საქონლისა და საყოლი საქონლის შენარჩუნებისა და რიცხვის გადიდებისათვის, თანაც „ოთხფეხი საქონლის დაუზოგველი დაკვლის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. იანვრის 16-ის დადგენილების (სსრკ კან. კრ. 1930 წ. მე-6 №-ი, მუხ. 66) განვითარების მიზნით ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს—დაუმატონ სისხლის სამართლის კოდექსებს მუხლი, რომლითაც გათვალისწინებულ იქნება ოთხფეხი საქონლის დაუზოგველი დაკვლა და განზრახი დასახიჩრება და სხვათა საამისოდ შეგულიანება სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ჩაშლისა და წარმატების დაბრკოლების მიზნით, რისთვისაც დააწესონ სოციალური დაცვის ღონისძიება, რაც განსაზღვრულია სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებაში „ოთხფეხი საქონლის დაუზოგველი დაკვლის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ“ (სსრკ კან. კრ. 1930 წ. მე-6 №-ი, მუხ. 66).

2. აეკრძალოს საგლეხო მეურნეობათა და კოლექტიურ მეურნეობათა დაკვლა მუშა-საქონლისა და აგრეთვე ისეთი მსხვილფეხა რქოსანი საქონლისა, რაც ეკუთვნის საჯიშე მასალას, სადიდე შედგენილობას, სანაშენო შედგენილობას და მოზარდთა შედგენილობას (ხბოები) ორ წლამდე.

ამ წესის დარღვევისათვის დამნაშავეს დაედება ადმინისტრატიული წესით ჯარიმა დაკლული ცხოველის ღირებულების ერთი-და-ნახევარი რაოდენობით.

ჯარიმის სახით გადახდევინებული თანხები შეიტანება კოლექტივიზაციის ფონდში.

3. დაევალოს საადგილმამულო საზოგადოებათა რწმუნებულთ და აგრეთვე აგრორწმუნებულთ და ზოორწმუნებულთ თვალყური ადევნონ ამა დადგენილების განხორციელებას და ყოველი ის შემთხვევა, როდესაც დარღვეულ იქნება ეს დადგენილება, დაუყოვნებლივ აცნობონ სასოფლო საბჭოებს დამნაშავეთა პასუხისგებაში მისაცემად.

4. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობათ უზრუნველჰყონ,—რესპუბლიკანური კოლექტიურ მემურნეობათა ცენტრებისა, საადგილმამულო ორგანოებისა და ორგანიზაციებისა და სასოფლო-სა-

მეურნეო კოოპერაციის მონაწილეობით და მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობის საქმეში ჩაბმით, — სოფლად ფართო ახსნა-განმარტების კამპანიის ჩატარება იმის თაობაზე, რომ შეუწყნარებელია ღარიბმა და საშუალო მეურნეობებმა გაყიდონ ან დაკლან მუშა-საქონელი და საყოლი საქონელი კოლექტიურ მეურნეობებსა და სხვა საწარმოო სასოფლო-სამეურნეო შენაერთში შესვლის დროს.

ამ კამპანიის ჩატარების დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ღარიბ და საშუალო გლეხთა ფაროო მასსებისათვის იმ ზიანის ახსნა-განმარტებას, რასაც თვით მათ აყენებს ოთხფეხი საქონლის ასეთი გაყიდვა და დაკვლა.

5. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობათ შეუთანხმონ ორი კვირის ვადაზე ამა დადგენილებას თავიანთი კანონმდებლობა.

6. ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა უნდა გადასინჯოს მის მიერ ამა დადგენილების საგნის თაობაზე წინად გამოცემული ინსტრუქციები.

7. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება „ოთხფეხი საქონლის დაუზოგველ დაკვლასთან და გაყიდვასთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ" (ა/კსფსრ კან. კრ. 1930 წ. მ-3 №-ი, მუხ. 25) გაუქმებულ იქნეს.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. კასიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1930 წ. აპრილის 28.
ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 112 №-ში 1930 წ. აპრილის 29-ს.

ცირკულიარი № 8 ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატისა და შრომის სახალხო კომისარიატისა.

1930 წ. აპრილის 26.

103. „უმაღლესი სასწავლებლებისა და ტეხნიკუმების მოსწავლეთა კონტრაქტაციის წესის თაობაზე" გამოცემული სსრკ-ის შრომის სახალხო კომისარიატის 1929 წ. დეკემბრის 21-ის დადგენილების შესრულების შესახებ.

ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატისა და შრომის სახალხო კომისარიატის განკარგულებაში ქონებული მასალებიდან ირკვევა,

-320
ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ მთელი რიგი უწყებები და ორგანიზაციები, რომელთაც დაკონტრაქტებული ჰყავთ ა/კსფსრ-ისა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი სასწავლებლებისა და ტეხნიკუმების მოსწავლენი, როგზე არ უგზავნიან მათ ხვედრ სტიპენდიებს, არღვევენ სსრკ-ის შრომის სახალხო კომისარიატის 1930 წ. დეკემბრის 21-ის დადგენილებით განსაზღვრული დაკონტრაქტებული სტუდენტების სტიპენდიების განაკვეთებს და კონტრაქტაციის ხელშეკრულების სხვა პირობებს.

ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატს და შრომის სახალხო კომისარიატს შეუსაბამოდ მიაჩნიათ ზემოაღნიშნული მოვლენა და ისინი წინადადებას იძლევიან:

ყველა იმ უწყებამ და ორგანიზაციამ, რომელსაც დაკონტრაქტებული ჰყავს ა/კსფსრ-ისა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი სასწავლებლებისა და ტეხნიკუმების მოსწავლენი, მტკიცედ უნდა იხელმძღვანელოს სსრკ-ის შრომის სახალხო კომისარიატის 1929 წ. დეკემბრის 21-ის დადგენილება „უმაღლესი სასწავლებლებისა და ტეხნიკუმების მოსწავლეთა კონტრაქტაციის შესახებ“, სახელდობრ ის ნაწილი, რაც შეეხება:

ა) სტიპენდიის რაოდენობას, რაც განსაზღვრულია აღნიშნული დადგენილებით;

ბ) დაკონტრაქტებულ მოსწავლეთათვის მათი ხვედრი სტიპენდიების თავის დროზე გაგზავნას.

ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო
კომისრის მოადგილე **იაშვილი.**

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარი **რაჭიმოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ის 112 №-ში 1930 წ. აპრილის 29-ს.

შეცდომის გასწორება.

	დაბეჭდილია	**უნდა იყოს**
ა/კსფსრ კან. კრ. 1930 წ. მე-5 №-ში, მუხ. 75. მუხ 2. .	...მოაწყონ არსებულ სასოფლო-სამეურნეო სასწავლო რაიონებთან...	...მოაწყონ ყველა ძირითად სასოფლო-სამეურნეო უმაღლეს და საშუალო სასწავლებელთან...
იქვე, მუხ. 61. მე-14 მუხ.	...ჰიდრომეტრულ სამუშაოთა...	...ჰიდრო-მეტროლოგიურ სამუშაოთა...

საქართველოს სახკომსაბჭოს სტამბა.

მთავლ. № 1.195. ტირაჟი 850.